უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამა

თემები გასაუბრებისთვის

ეროვნული უსაფრთხოება

- განიხილეთ საფრთხეები, საფრთხეების შეფასების დოკუმენტის თანახმად
- ზოგადად მიმოიხილეთ, საქართველოს უსაფრთხოების გარემო
- ჩამოთვალეთ და განიხილეთ, მინიმუმ სამი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად
- განიხილეთ, ეროვნული ძალის ინსტრუმენტები და მათი ეფექტური და სინქრონული მართვის მნიშვნელობა ეროვნულ უსაფრთხოებაში

საერთაშორისო ურთიერთობები

- განიხილეთ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი საკითხები (რას შეისწავლის)
- გაანალიზეთ თანამედროვე მსოფლიო წესრიგი საერთაშორისო ურთიერთობებში (პოლუსიანობა)
- განიხილეთ დიპლომატიის როლი და დანიშნულება

გეოპოლიტიკა

- მიმოიხილეთ გეოპოლიტიკა როგორც მეცნიერება
- ჩამოაყალიბეთ გეოპოლიტიკის მთავარი კანონი
- აღწერეთ საქართველოს როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკურ სისტემაში
- შეაფასეთ საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია

შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა

- განიხილეთ გეოპოლიტიკური ვითარება შავი ზღვის რეგიონში
- განიხილეთ გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში

- აღწერეთ რუსეთის ადგილი და როლი გეოპოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში
- აღწერეთ თურქეთის როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკაში

ჰიბრიდული ომი

- მიმოიხილეთ ჰიბრიდული ომის არსი
- გაანალიზეთ განსხვავება ტრადიციულ და ჰიბრიდულ ომს შორის
- განიხილეთ ჰიბრიდული ომის მინიმუმ სამი ძირითადი კომპონენტი
- დაასახელეთ ერთი ისტორიული მაგალითი ჰიბრიდული ომისა

სამშვიდობო ოპერაციები

- გაანალიზეთ სამშვიდობო მისიების მნიშვნელობა და დანიშნულება
- განიხილეთ საქართველოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის დადებითი ფაქტორები (სარგებელი)
- აღწერეთ სამშვიდობო მისიების გამოწვევები
- განიხილეთ სამშვიდობო ოპერაციებში კონტრიბუტორი სახელმწიფოების მიზნები

საგარეო პოლიტიკა

- მიმოიხილეთ საგარეო პოლიტიკის არსი
- გაანალიზეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია
- განიხილეთ რუსეთის საგარეო პოლიტიკა:ომი უკრაინაში
- მიმოიხილეთ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში

სტრატეგია

- განმარტეთ რა არის სტრატეგია? (განმარტება)
- განიხილეთ რა განსხვავებაა სტრატეგიას და კონცეფციას შორის
- ჩამოთვალეთ და განიხილეთ სტატეგიული დონის დოკუმენტები

სახელმწიფო მოწყობა

- განიხილეთ ხელისუფლების შტოები
- ჩამოთვალეთ და განიხილეთ მინიმუმ სამი საქართველოს ეროვნული ღირებულება
- განიხილეთ როგორი მოწყობის ყვეყანაა საქართველო

საერთაშორისო ორგანიზაციები

- შეაფასეთ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და კონტრიბუცია მსოფლიო უსაფრთხოებაში
- მიმოიხილეთ მინიმუმ სამი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც საქართველოა გაწევრიანებული
- გაანალიზეთ ნატოს და ევროკავშირის თანამედროვე უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები

კანდიდატი წარმოდგენილი თემებიდან პირადი სურვილით ირჩევს 2 თემას განსახილველად, თითოეული თემა მოცემული ქვესაკითხებით შეფასდება მაქსიმუმ 4 ქულით, სულ 8 ქულა. კანდიდატი დადებითად შეფასდება მინიმუმ 4 ქულის მიღების შემთხვევაში (თითოეული თემაში მინიმუმ 2 ქულის მიღების შემთხვევაში).

კანდიდატის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

4 ქულა: პასუხი სრულია; აქცენტები სწორად არის დასმული. კანდიდატი ზედმიწევნით ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

3 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ მცირეოდენი ხარვეზებით; არსებითი შეცდომა არ არის; კანდიდატი კარგად ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

2 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი გადმოცემულია დამაკმაყოფილებლად; კანდიდატი ფლობს საკითხს, მაგრამ აღინიშნება შეცდომები.

1 ქულა: პასუხი არასრულია; კანდიდატს აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა და უჭირს არჩეული საკითხზე პასუხის გაცემა.

0 ქულა: პასუხი არ არის საკითხის შესაბამისი ან საერთოდ არაა მოცემული.

ლიტერატურა:

1) გიორგი ანთიძე - ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის
2) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
3) თავდაცვის სამინისტროს ხედვა - 2030 წ.
4) ჰამლეტ ჭიპაშვილი - დიპლომატია
5) ალექსანდრე რონდელი - საერთაშორისო ურთიერთობები
6) ნიკა ჩიტაძე გეოპოლიტიკა გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2011
7) 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია https://mfa.gov.ge/Foreign-Policy-Strategy
8) სანდრო ბაკურაძე ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში'' კავკასიური სახლი, თბილისი 2020.
9) Hoffman, Frank G. (2007) "Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars", Potomac Institute for Policy Studies.
10) Fridman, Ofer (2018) "Russian 'Hybrid Warfare': Resurgence and Politicization", Oxford University Press.